ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
ნაბეჭდი ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის აპრილის 1	№ 6	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.
	განყოფილება პირველი	

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

მუხ. 58. მოსახლეობისათვის 1926-27 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის კრედიტით მიცემის შესახებ.

„ 59. საძირე ტყავის ზურგის ნაწილისა, კისრის ნაწილისა და ნაპირების უკიდურესი ფასების შესახებ.

„ 60. ტყავის საქონლის ფასის შემცირების შესახებ.

„ 61. ამიერკავკასიის მრეწველობის ცალკე დარგებში მოზარდთა ნორმის მინიმალური პროცენტის დაწესების შესახებ.

„ 62. ა/კსფსრ ქალაქებში ცალობითი ვაჭრობისათვის ზომა-წონის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

„ 63. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი მონაწილეობით მოქმედ სააქციო საზოგადოებათა მექანიკური წარმოების ფეხსაცმლის ფასების შესახებ.

„ 64. 1926-27 წლის მე-2 ნახევარში სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების შესახებ.

„ 65. ტყის კულტურის სფეროში მუშაობისათვის საჭირო სახსარის შესახებ.

„ 66. „მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელის შეწყობის თაობაზე“ ა/კ. ცენ. აღ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 67. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის დროებითი დებულების შესახებ.

„ 68. რაფინად-შაჰრის ცალობითი ფასების შესახებ.

„ 69. ა/კსფსრ-ში დაზღვევისათვის მეტრული სისტემის ზომა-წონის შემოღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 6|121 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(შოწესრაგების სამმართველო)

1927 წ. თებერვლის 19.

58. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მოსახლეობისათვის 1926-27 წელს საკრედიტო სკალის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი საკრედიტო სკალა 1926-27 წელს ა/კ. სფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მოსახლეობისათვის საიმპორტო და საკავშირო წარმოების სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მისაყიდად:

საკრედიტო სკალა 1926-27 წ. მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მისაყიდად:

	ღირებულება	ბე	1	2	3
			მოსავალი		
1. გუთანი ერთ-ორ და სამ-სახნისიანი, ფარცხი რკინის კბილებიანი, კულტივატორი, სამარგლე, მიწის შემოსაყრელი, ამკრეფი ინვენტარი, სამკელი ხელსაწყო, ხელით სალეწი, საკვების დამმზადებელი მანქანა, სათადარიგო ნაწილები, წვრილი სას.-სამ. ინვენტარი . .	12 მანეთამდე		იყიდება ანგარ. ნაღდად გასწორ.		
2. გუთანი და რკ. კბილ. ფარცხი	13-დან 100 მან-დე	25%	75%		
3. თეფშებიანი და სხვაგვარი ფარცხი, რკინის კბილებიან გარდა	13-დან 100 მან-დე	25%	50%	25%	
4. კულტივატორი სხვადასხვა, მიწის შემომყრელი, სამარგლე	13-დან 100 მან-დე	25%	75%		
5. სათესი მწკრივად, ბამბისა, სიმინდისა და ჰორეულისა	13-დან 125 მან-დე	25%	50%	25%	
6. იგივე	126 მან-დან და მეტი	25%	30%	25%	20%
7. საკვების დამმზადებელი მანქანა	13-დან 60 მან-დე	25%	75%		
8. იგივე	60 მან-დან და მეტი	25%	50%	25%	
9. მარცვლის გადამრკვევი მანქანა (სანიავებელი, დამხარისხებელი)	13-დან 40 მან-დე	25%	75%		
10. სხვა მარცვ. გადამრკვევი მანქანა ან ტრიერი	41 მან-დან და მეტი	25%	40%	35%	
11. ძნისმკვრელი, სათიბელი, სამკალი და სხვ. .	41 მან-დან და მეტი	25%	30%	25%	20%
12. ხელით და ცხენით სალეწი	13-დან 100 მან-დე	25%	75%		
13. იგივე	101-დან 200 მან-დე	25%	50%	25%	
14. ნახევრად-რთული და რთული სალეწი, სალეწის გარნიტური	201 მან-დან და მეტი	25%	30%	25%	20%

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ღირებულება	ბე	1	2	3
			მოსავალი		
15. რძის ინვენტარი (სეპარატორი, სადღვებელი და სხვ.)	13-დან 100 მან-დე	25%	75%		
16. იგივე	101 მან-დან და მეტი	25%	50%	25%	
17. მავნებლებთან ბრძოლის საშუალებანი (შაბიამანი, გოგირდი, სასხურებელი, შესაფრქვევი და სხვ.	—	25%	75%		
18. მანქანები და იარაღები მევენახეობისა და მეღვინეობისათვის	12 მანეთამდე	ნაღდად			
19. იგივე	13-დან 100 მან-დე	25%	75%		
20. იგივე	101-დან 500 მან-დე	25%	40%	35%	
21. იგივე	500 მან-დან და მეტი	25%	30%	25%	20%
22. მოწყობილობა სას.-სამ. პროდუქტების პირველადი გადამუშავებისათვის	13-დან 100 მან-დე	ანგარ. ნაღდად			
23. იგივე	100-დან 500 მან-დე	50%	50%		
24. იგივე	500-დან 1000 მან-დე	25%	50%	25%	
25. იგივე	1000 მ-დან და მეტი	25%	30%	25%	20%

§ 2. ეს საკრედიტო სკალა შეფარდებულ უნდა იქნეს, როდესაც კრედიტი მიეცემა კოლექტიურ მეურნეობას, სამანქანო ამხანაგობას და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობას.

§ 3. შეძლებულ მეურნეობისათვის კრედიტის მისაცემად შეფარდებულ უნდა იქნეს ესეიგი სკალა, ხოლო კრედიტის ვადა შემცირებულ უნდა იქნეს ერთი მოსავლით და ბე გადიდებულ 40%-დე. იმ შემთხვევაში, როდესაც ღარიბი მოსახლეობისათვის ვადა მიცემულია 1 მოსავლამდე, შემძლე გლეხობა ყიდვის დროს გადაიხდის ღირებულების 100%.

§ 4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემაჯალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1427 №-ში 1927 წ. მარტის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 10|125 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(შოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 11.

59. საძირე ტყავის ზურგის ნაწილისა, კისრის ნაწილისა და ნაპირების უკიდურესი ფასების შესახებ.

ა/კ: ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაპრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. იანვრის 13-ს დადგენილების თანახმად—ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. აგვისტოს 31-ს თარიღისა და 40/96 №-რის, დადგენილების 1-ლი მუხ. დასამატებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი სებითუმო საგასაცემო ფასები საძირე ტყავის 1-ლი ხარისხის ზურგის ნაწილსა, კისრის ნაწილსა და ნაპირებზე ფრანკო-ვაგონი გაგზავნის სადგურზე, როდესაც ამ საგნებს გასცემენ ტყავის მწარმოებელი სახელმწიფო და კოოპერატიული საწარმონი და აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოებანი:

1) ნაპირები—1 კილოგრ. . . . . 1 მ. ტ 32 კ.; 1 ფუთი—21 მ. ტ 60 კ.
2) კისრის ნაწილი—1 კილოგრ. . . . 1 მ. ტ 53 კ.; 1 ფუთი—25 მ.
3) საძირე ტყავ. ზურგ. ნაწ. 1 ხარ.—1 კ. 2 მ. ტ 87 კ.; 1 ფუთი—47 მ.

შენიშვნა. დაბალი ხარისხის ზურგის ნაწილი გაიცემა 1-ლი ხარისხ. დაწესებული ფასის შემდეგი მონაკლებით: მე-2 ხარისხისა—10%, მე-3 ხარისხისა—20%.

2. როდესაც საძირე ტყავის ზურგის ნაწილისა, კისრის ნაწილისა და ნაპირების ბითუმ, ნახევარ-ბითუმ და ცალმბითი ვაპრობას აწარმოებს სახელმწიფო ვაპრობის ორგანო, კოოპერატიული ორგანიზაცია და კერძო პირი, სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს ის წანამატები, რაც გათვალისწინებულია ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატის 1926 წლის აგვისტოს 31 თარიღისა და 40/96 №-რის დადგენილებით და 1926 წ. დეკემბრის 31-ს თარიღისა და 58/114 №-რის დადგენილებით.

3. ამა დადგენილებით განსაზღვრული ფასები გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულებისა და გარიგების იმ ნაწილზე, რაც აქამდე შესრულებული არ არის.

4. ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგ. **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1429 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 18-ს.

დადგენილება № 11/126 აპსფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კოვმისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 19.

60. ტყავის საქონლის ფასების შემცირების შესახებ.

ა/კ. ცენტ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა და სსრკ კაჭრობის სახალხო კრმისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ა/წ. თებერვლის 26-ს თარიღისა და 496 №-რის ბრძანების თანახმად. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. აგვისტოს 31-ს თარიღის, დადგენილების 1-ლი მუხ. შესაცვლელად, ადგენს:

1. შემცირებულ იქნეს შემდეგნაირად საბითუმო საგასაცემო ფასები ტყავის საქონელზე: ა) მთლად იმ საძირე ტყავზე, რაც დამზადებულია ამერიკისა და რუსეთის ნედლეულობისაგან კომბინირული და ფხვიადი თრიმლვით—5%-თ; ბ) კომბინირული და ფხვიადი თრიმლვით დამზადებულ ბოლომდე გამოუქნელ იუტზე—წონით 6 კილოგრამამდე—2%-თ; გ) კომბინირული და ფხვიადი თრიმლვით დამზადებულ ბოლომდე გამოუქნელ იუტზე—წონით 8 კილოგრამამდე—4%-თ.

შენიშვნა. ბოლომდე გამოუქნელი იუტი წონით 8 კილოგრამზე მეტი გაეთანაბრება ოხელ, ჩასაფენ საძირე ტყავს და გაიცემა ამ წესენ ტყავის ფასად.

დ) ძროხისა და ცხენის ტყავის გამონაჭერი ბოლომდე გამოუქნელი იუტი—2%-თ.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული შემცირება გავრცელდება აგრეთვე ყველა წინად დადებული ხელშეკრულებისა და გარიგების იმ ნაწილზე, რომლითაც ჯერ კიდევ ჩაბარება არ მომხდარა ა/წ. თებერვლის 26-დე.

3. ტყავის საქონლის ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით გაყიდვისათვის წანამატი დაერთვის იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის აგვისტოს 31-ს თარიღისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 40/96 №-რის დადგენილებით; თანაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საბითუმო საგასაცემო ფასების შემცირება.

4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. ამა დადგენილების ის ნაწილი, რაც საგასაცემო ფასებს შეეხება (მუხ. 1), ძალაში შედის ა/წ. თებერვლის 26-დან, ხოლო ის ნაწილი, რაც საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი ფასებს შეეხება (მუხ. 3), ძალაში შედის ა/წ. მარტის 26-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართვ. უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1431 №-ში 1927 წ. ოქტომბრის 22-ს.

განმარტება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მარტის 17.

61. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ამიერკავკასიის მრეწველობის ცალკე დარგებში მოზარდთა ნორმის მინიმალური პროცენტის დაწესების თაობაზე" 1927 წ. იანვრის 21-ს თარიღთა და მე-5 №-რით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ.

რადგანაც ამა თუ იმ ადგილას გაუგებრობას იწვევს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „ამიერკავკასიის მრეწველობის ცალკე დარგებში მოზარდთა ნორმის მინიმალური პროცენტის დაწესების შესახებ" 1927 წ. იანვრის 21-ს თარიღით და მე-5 №-რით გამოცემული დადგენილების 48, 49 და 50 მუხ. მიხედვით მოზარდთა ნორმის მინიმალური პროცენტის გამანგარიშების საკითხი — ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლებს, რომელთა შორის 48 მუხ. მოზარდთა ნორმის მინიმალურ პროცენტს აწესებს ბაკდეგითი საწარმოში, 49 მუხ. ამავე ნორმის მინიმალურ პროცენტს აწესებს სავაჭრო, სამეურნეო და კოოპერატიულ საწარმოში და 50 მუხ. ამავე ნორმის პროცენტს აწესებს მშენებლობის საქმეში, — ერთობლივ ყველა სამეშაოსათვის, — არავითარი კავშირი არა აქვს „საზოგადოებრივ კეთილმოწყობის" თავთან და დამოუკიდებელი მუხლებია.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

შრომის ბაზრის განყ. გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1431 №-ში 1927 წ. მარტის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავალდებულო დადგენილება № 15 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წ. იანვრის 4.

62. ა/კსფსრ ყველა ქალაქში ცალობითი ვაჭრობისათვის ზომაწონის მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ის „გ" პუნქტის შესასრულებლად ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მე-4 №-რის საავალდებულო დადგენილების დასამატებლად შემოღებულ იქნეს 1927 წ. მაისის 1-დან ა/კსფსრ ტერიტორიის ქალაქებში წონისა, სიგრძისა და მოცულობის მეტრული სისტემა ყოველგვარი სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო ცალობითი ვაჭრობისათვის, როგორც დახურულ სადგომში, ისე კარავში, ხონჩით ბაზარზე და სხვ.

2. საავალდებულო დადგენილება ესე, ვიდრე განსაკუთრებული განკარგულება გაიცემოდეს, არ გავრცელდება:

ა) ღვინისა, არყისა, სპირტისა, ლიქორისა, სპირტზე დაყენებული ხილეული სასმელისა და მაგრილებელი სასმელების ~~ცალ~~ობითი ვაჭრობაზე, ბორჯომის წყლის გამოკლებით;

ბ) იმ გლეხებზე, რომელნიც მიდიან 1-ლ მუხლში აღნიშნულ ქალაქებში თავიანთი პროდუქციის გასაყიდად ხელზე, ურემზე, ტომრიდან და სხვა, საგლეხო ვაჭრობის საშუალებით, უკეთუ ისინი პატენტით არ ვაჭრობენ.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესასრულებლად ყველა საწარმო, როგორც სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო, ესე იგი ფულკი პირი, რომელიც ცალობითი ვაჭრობას ეწევა, მოვალეა ზემოდანიშნული ~~ზომ~~ებისათვის იქონიოს მეტრული სისტემის სასწორი, გირები და სხვა საზომ-საწონი, რასაც ზედ უნდა ჰქონდეს შემმოწმებელი პალატის დაღი.

ძველი საზომ-საწონი საქონლის გაცემა მაისის 1-დან ა/კსფსრ ყველა ქალაქისათვის აკრძალულია.

4. ყველა დახურულ სადგომში, აგრეთვე კარავში, სადაც საქონელი ცალობით გაიცემა, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდული უნდა იყოს კედლის ცხრილი საქონლის ფასებისა, რაც სათანადოდ უნდა ეფარდებოდეს სავაჭრო ერთეულებს (კილოგრამს, მეტრს, ლიტრს და სხვ.).

შენიშვნა 1. საქონლის ფასების ცხრილის შედგენისათვის ძირითად მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს ოფიციალური საგადანაცვლო ცხრილები, რაც დამტკიცებულია ცენტრალური მეტრული კომისიისა, ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა ან საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. იმ საქონლის 400 გრამმად შეფასება, რომლის შეფასებაც ძველის წონით გირვანქას ეთანაბრებოდა, აკრძალულია. ამ კატეგორიის საქონლისათვის შეფასება განისაზღვრება 1 კილოგრამად. ამასთანავე, შეფასება შეიძლება 500 და 100 გრამ.

შენიშვნა 3. იმ საქონლისათვის, რაც წვრილ-წვრილად ააწონება, დაწესებულია სავალდებულო შეფასება 1, 10 და 100 გრამმად. სავაჭრო საწარმოსავე შერჩევით, საქონლის კატეგორიისამებრ.

შენიშვნა 4. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თანამბირების განსაკუთრებული რწმუნებულნი—იმავე დროს ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელნი—მოვალენი არიან მიიღონ სათანადო ღონისძიებანი, რათა მთლად ცალობით ვაჭრობის საქმე უზრუნველყოფილ იქნეს მეტრული სისტემის საზომ-საწონთა საჭირო რაოდენობით, თანაც თვალყური ადევნონ ამა სავალდებულო დადგენილების თავის დროზე შესრულებას.

5. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებსა და ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში.

6. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობრივი და კერძო პირი პასუხს აგებს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის თავმჯდომ. მაგიერ **გუნცაძე.**

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ეროვნული ეკონომიკა“-ს 1435 №-ში 1927 წ. მარტის 26-ს.

დადგენილება № 12|127 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 22.

63. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოვადოებათა მექანიკური წარმოების ფეხსაცმლის ფასების შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისარიატის 1927 წ. იანვრის 10-ს დადგენილების თანახმად—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. მარტის 28-ს თარიღისა და 33 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საბითუმო წანამამატები საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. იანვრის 10-ს დამტკიცებულ მრეწველობის უკიდურესი საგასაცემო ფასების პრეისკურანტზე,—ფრანკო-ვაგონი—გაგზავნის სადგური წარმოების ადგილას,—გარიგების თანხის მიუხედავად:

ა) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როდესაც ფეხსაცმელს ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა) მიჰყიდის, გარიგების თანხის მიუხედავად, სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესისამებრ),—3%; როდესაც საქონელი სრულად საკავშირო ტყავის სინდიკატის გამგეობის საწყობებში და კონტორებში გაიყიდება—5,5%;

ბ) როდესაც სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატი ფეხსაცმელს სხვა ორგანიზაციას და პირს მიჰყიდის, სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესისამებრ),—4%; როდესაც ფეხსაცმელი სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის გამგეობის საწყობებში და კონტორებში გაიყიდება—6,5%;

გ) როდესაც სრულად საკავშირო ტყავის სინდიკატი ფეხსაცმელს თავისი კონტორების საწყობებში გაჰყიდის, იგი წარმოებითი საწარმოს საგასაცემო ფასს (პრეისკურანტი), სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის დაწესებულ წანამატების გარდა, დაარიცხავს 1% საფრახტო ხარჯის დასაფარავად;

დ) როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაცია (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა) ფეხსაცმელს ყველა ამა თუ იმ პირსა და ორგანიზაციას მიჰყიდის, გარიგების თანხის მიუხედავად, სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესისამებრ),—4%; საწყობებში გაყიდვისათვის—6.5%;

ე) როდესაც სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაცია (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა) სატრანზიტო ოპერაციის წესით ან უშუალოდ წარმოებითი საწარმოს საფაბრიკო საწყობში შეძენილ ფეხსაცმელს თავის საბაზისო ადგილას თუ საწყობში გაჰყიდის,—იგი წარმოებითი საწარმოს საგასაცემო ფასებს (პრეისკურანტი), მისთვის დაწესებულ სავაჭრო წანამატის გარდა, დაარიცხავს 1% საფრახტო ხარჯის დასაფარავად.

შენიშვნა. „გ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული, საფრახტო ხარჯის დასაფარავი წანამატი 1% რაოდენობით გავრცელდება ისეთ ადგილებზე, რომლებიც ფეხსაცმლის წარმოების ადგილიდან 1.500 ვერსის რადიუსში არიან.

2. ფეხსაცმლის ნახევარ-ბითუმი ვაჭრობისათვის მრეწველობის საბითუმო საგასაცემო ფასების პრეისკურანტს დაერთოს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი:

ა) როდესაც ფეხსაცმელი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს და კოოპერაციას ·ეძლევა—8%;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როდესაც ფეხსაცმელი კერძო პირს ეძლევა—10%.

3. ფეხსაცმლის ცალობითი ვაჭრობას ქალაქად სახელმწიფო ვაჭრობის ორგანო და კოოპერაცია აწარმოებს საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. იანვრის 10-ს დამტკიცებული ფეხსაცმლის ცალობითი ფასების პრეისკურანტის თანახმად, რასაც უნდა დაემატოს ნამდვილი ღირებულება რკინის გზისა და წყალსავალი გზის ფრახტისა, იმ 1.500 ვერსის ზევით, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ ან „ე“ ლიტერით; აგრეთვე უნდა დაემატოს კაპიტალის ღირებულება გზაში.

შენიშვნა. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს და კოოპერატიულ ორგანიზაციას უფლება აქვს ფეხსაცმლის ცალობითი ვაჭრობა აწარმოოს მარტოოდენ თავის ცალობითი ვაჭრობის მაღაზიაში ან თავისი სავაჭრო საწარმოს სპეციალურ განყოფილებაში იმ პირობით, რომ ასეთი განყოფილებაში საბითუმო ვაჭრობა არა სწარმოებდეს.

4. ფეხსაცმლის ცალობითი ვაჭრობას სოფლად კოოპერაცია აწარმოებს საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ა/წ. იანვრის 10-ს დამტკიცებული ფეხსაცმლის ცალობითი ფასების პრეისკურანტის თანახმად, მაქსიმალური ზედნართით 3%-ს რაოდენობით.

სატრანსპორტო ხარჯს დასაფარავად სოფლის კოოპერატივს უფლება აქვს, ამა მუხლით დაწესებული წანამატის გარდა, დაარიცხოს ნამდვილი ღირებულება:

ა) რკინის გზისა და წყალსავალი გზის ფრახტისა, იმ 1.500 ვერსის ზევით, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ ან „ე“ ლიტერით;

ბ) ფეხსაცმლის გაყიდვის ადგილამდე ჰაპანზიდვის გზით მიტანისა;

გ) კაპიტალისა გზაში.

5. ნამდვილ ღირებულებას ფრახტისას, 1.500 ვერსის ზევით, კაპიტალისას გზაში და საქონლის ჰაპანზიდვის გზით მიტანისას განსაზღვრავენ ა/კ. შინაეაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ადგილობრივ.

6. კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციას აეკრძალება შესცვალოს საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ პრეისკურანტში აღნიშნული ფეხსაცმლის სახელწოდება და ნომერიკა.

7. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ საპრეისკურანტო ფასებში შედის ფეხსაცმლის ზონარისა და კოლოფის ღირებულება, სანდლებისა და ძროხის ტყავის ფეხსაცმლის გამოკლებით.

8. ყველა კოოპერატიული წარმოებითი საწარმო და სახელმწიფო კაპიტალის მეტობრივი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოების ფეხსაცმლის საწარმო მოვალეა გამოუშვას ფეხსაცმელი ისე, რომ თვითეულ წყვილს ჰქონდეს სათანადო დაღი, იმ საწარმოს და ნომრის მაჩვენებელი, რომლითაც ამა თუ იმ სახის ფეხსაცმელი აღნიშნულია საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ პრეისკურანტში.

9. ამა დადგენილებით დაწესებული უკიდურესი ფასები და წანამატები გავრცელდება ყველა წინად დადებულ გარიგების იმ ნაწილზე, რომლითაც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე საქონელი ჯერ ჩაბარებული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამა დადგენილებით გაუქმებულია სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ყველა წინად გამოცემული საფეხსაცმლო პრეისკურანტი.

11. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

12. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1437 №-ში 1927 წ. მარტის 29-ს.

დადგენილება № 25 ა/პ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. მარტის 28.

64. 1926-27 წლის მე-2 ნახევარში სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების შესახებ.

1. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ იმ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებსა და ამიერკავკასიის კოოპერატიულ შენაერთებს, რომლებზედაც ვრცელდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილების მოქმედება, 1926-27 საბიუჯეტო წლის მე-2 ნახევარში სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდები სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად დახარჯონ იმ რაოდენობით, რაც დამტკიცებულია ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926-27 საბიუჯეტო წლის 1-ლი ნახევრისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კ. სამეურნეო ორგანოებს და ა/კ. კოოპერატიულ შენაერთებს სათანადო განცხადება 1926-27 წ. მე-2 ნახევრისათვის საჭირო ფონდის შესახებ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ, დამატებითი ფონდების განმსაზღვრელ, ამიერკავკასიის კომისიაში შეიტანონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ 1-ლი ნახევარ-წლისთვის დამტკიცებული ფონდის რაოდენობა, ამა თუ იმ საფუძვლით, შეცვლილ უნდა იქნეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განცხადება წარედგინება ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიას არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-სა. განცხადებას დაერთვის: 1) დაწვრილებითი განმარტებანი კანონიერი ტიტულით გამარილებული საფუძვლებისა სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდის გაუმჯობესებისათვის, რასაც უნდა დაერთოს სათანადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოანგარიშებანი; 2) სპეციალისტთა სია—ცნობებით—მათი თანამდებობისა და ფაქტიური ჯამაგირის რაოდენობის შესახებ; 3) ცნობები 1926-27 საბ. წლის პირველ ნახევარში სამუშაო ხელფასის ფონდის თვიური ხარჯის შესახებ და 4) სათანადო პროფესიონალური კავშირის დასკვნა განცხადებაში მოთავსებულ ცნობების შესახებ.

შენიშვნა. ვიდრე ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო საბოლოოდ არ დამტკიცებს ახალ განცხადებას, ახლად გამოთხოვილი სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდის დახარჯვა არ შეიძლება.

3. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად წინადადება ეძლევა ამერკავკასიის და რესპუბლიკანური მასშტაბის ყველა უწყებას, რომელიც-კი სახელმწიფო ბიუჯეტზეა, წარუდგინოს ა/კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამუშაო ხელფასის ფონდების განმსაზღვრელ კომისიას, არა უგვიანეს ა/წ. მაისის 1-სა, განცხადება, რათა განხილულ და დამტკიცებულ იქნეს სამუშაო ხელფასის დამატებითი ფონდი, რაც განსაზღვრულია 1926-27 საბ. წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით და რაც ფაქტიურად იხარჯება უწყებების მიერ; განცხადებას უნდა დაერთოს სპეციალისტთა სია—ცნობებით—მათი თანამდებობისა და ფაქტიური ჯამაგირის რაოდენობის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

სტარიფო-საკონფ. განყ. გამგე **ლენინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1437 №-ში 1927 წ. მარტის 29-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

65. ტყის კულტურის სფეროში მუშაობისათვის საჭირო სახსარის შესახებ.

რათა ა/კსფსრ ფარგლებში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების საქმე რაციონალურად იქნეს დაყენებული და რაც შეიძლება მეურნეობისათვის ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული ხე-ტყის მყიდველებისათვის საწინდრის სახით დაჭერილი ფულადი თანხები, რაც ფაქტიურად, ა/კსფსრ პირობებში, სპეციალური სახსარია,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 21-ს დადგენილებისა „სპეციალურ სახსართა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 450), ადგენენ:

1. იმ საწინდრის გასაუქმებლად, რაც ხე-ტყის მყიდველთ დაეჭირებათ ხოლმე მოჭრილი მერქანის ადგილის გასასუფთავებლად, დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ფარგლებში სამორე სასყიდლის მიზნობრივი პროცენტული ერანრიცხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამორე სასყიდლის პროცენტული დანარიცხით შემოსული თანხები გადაიიცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში სპეციალური სახსარის სახით ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების საქმისათვის.

3. სამორე სასყიდლის პროცენტული დანარიცხის რაოდენობას არა უმეტეს 10 პროცენტისა ფოთლიანი და არა უმეტეს 25 პროცენტისა წიწვიანი ტყისათვის დაწესებენ ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები.

4. ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და დახარჯვის წესი, აგრეთვე ამ თანხების ხარჯვის ანგარიშგების წესი განსაზღვრულ იქნეს თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 21-ს დადგენილებისა „სპეციალურ სახსართა შესახებ“ და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ნუსხა რესპუბლიკების (კუთვნილებისამებრ) იმ კანონებისა, რომელთაც დაეკარგათ ძალა ამა დადგენილების გამოქვეყნების გამო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. მარტის 26. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1438 №-ში 1927 წ. მარტის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

66. ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის თაობაზე“ 1925 წ. აგვისტოს 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 7-ს დადგენილება „მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 482) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1438 №-ში 1927 წ. მარტის 30-ს.

დადგენილება № 9 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

67. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დროებითი დებულება.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ნოკოლოვსკი.**

1927 წ. მარტის 10. ტფილისი—სასახლე.

დროებითი დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტის შესახებ

I. მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტი არსდება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან, რათა ტეხნიკურად მოაწესრიგოს მშენებლობის საქმე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შეიმუშაოს და შეათანხმოს ა/კსფსრ-ში მშენებლობის საქმის მოწესებისა, რაციონალიზაციისა და გაიაფების საკითხები და შეაკავშიროს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტების მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მშენებლობის ტეხნიკურ კომიტეტს დაეკისრება:

1) შეიმუშაოს ა/კსფსრ საერთო საქმეთა გამო პროექტები დეკრეტებისა და დებულებებისა 1-ლ მუხლში აღნიშნული საკითხების შესახებ, სხვათა შორის:

ა) სამოქალაქო მშენებლობის ნორმები ა/კსფსრ პირობებთან შეფარდებით;

ბ) ნორმები შენობათა და ნაგებობათა უშიშროებისა ტეხნიკისა და ცეცხლის მხრით და სასანიტარო-სატეხნიკო პირობები, რაც ამ შენობათა და ნაგებობათ შეეხება;

გ) წესები პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, ტეხნიკური ანგარიშებისა და მუშაობისათვის ზედამხედველობის გაწევის წესის შედგენისა და დამტკიცების შესახებ;

დ) დებულებანი სამუშაოს გაცემისა და მიღების შესახებ და მუშაობის წარმოების წესის შესახებ.

2) შეათანხმოს კავშირის ცენტრალური ორგანოების მიერ შემუშავებული ნორმები აღნაგობისა და დაგეგმვისა; ნორმები საშენი მასალის შესაძლებელი დაძაფრვისა და ნაგებობათა საყარაულო დატვირთვისა; ნორმები სამუშაო ერთეულზე მასალისა და მუშა-ხელის დახარჯვისა; საშენი მასალის სორტიმენტები და სტანდარტები და ამ მასალების ყიდვა-მიწოდების ტეხნიკური პირობები.

3) გამოარკვიოს საშუალებანი ამერიკაკავასიის საშენი მასალების რაც შეიძლება საუკეთესოდ გამოყენებისა და ამ მასალების მასსიური წარმოების ხერხი და უნარი.

4) განიხილოს—სათანადო დასკვნის მიცემით—სამოქალაქო და ხელოვნურ ნაგებობათა ტიპიური პროექტები და ცალკეული დიდი საამშენებლო პროექტი ამა თუ იმ ნაგებობისა, სხვათა შორის, ისეთიც, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრკ ორგანოების მიერ—პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენისა, წარმართვისა და დამტკიცების წესების თანახმად.

5) შეაგროოს და სისტემაში მოიყვანოს მე-II მუხლის პუნქტების მიხედვით ყველა ცნობები და მასალა და დასკვნა მისცეს ცენტრალური ორგანოების მიერ აღძრულ საკითხებზე მშენებლობის წარმოების მოწესრიგების სფეროში, აგრეთვე უწყებებისა და საათანადო ორგანოების მიერ აღძრულ საკითხების გამო, საერთოდ, მშენებლობის სფეროში.

6) შეაგროოს და შეჯუმლოს მასალები, რათა განსაზღვრულ იქნეს უახლესი ხუთი წლისათვის და ყოველი წინამდებარე წლისათვის ა/კსფსრ ყოველგვარი მშენებლობის სფეროში სამშენებლო სამუშაოს მოცულობა და ღირებულება.

III. კომიტეტს უფლება აქვს:

1) დაავალოს ა/კსფსრ უწყებებსა და დაწესებულებებს და ა/კსფსრ-ში შეიმავალ რესპუბლიკების მშენებლობის ტეხნიკურ კომიტეტებს—წინასწარ შეიმუშაონ ის საკითხები, რაც კომიტეტის კომპეტენციას შეადგენს.

2) ურთიერთი მიმართვა იქონიოს მშენებლობის მომწესრიგებელ სათანადო ორგანოებთან სსრკ-ში.

IV. კომიტეტს შეადგენენ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ პერსონალურად დანიშნული სპეციალისტები კომიტეტის საგამგებლო საკითხებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპეტენტურ პირთაგან. კომიტეტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს აგრეთვე ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო დანიშნავს.

V. კომიტეტის მუდმივი აპარატი იმუშავებს განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული შტატით. იმ თანამშრომელთ, რომელნიც კომიტეტის წევრნი არ არიან, თავმჯდომარე დანიშნავს.

VI. კომიტეტის სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ სათათბირო ხმის უფლებით განსახილველი საკითხების გადაწყვეტით დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელნი.

VII. კომიტეტის შენახვისათვის საჭირო კრედიტი მოთავსებულ იქნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვაში.

VIII. კომიტეტი აწარმოებს თავისი სხდომების ჟურნალს და წარდგენილი პროექტების გამო მიღებულ ყველა დასკვნისა და დამტკიცების განსაკუთრებულ აღნუსხვას.

IX. ამა დრრებითი დებულების განსავითარებლად გამოცემულ უნდა იქნეს ინსტრუქციები ამა დროებითი დებულების შეფარდების წესისა და ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური მშენებლობის ტეხნიკური კომიტეტების ურთიერთობის შესახებ. ინსტრუქციებს შეიმუშავებს ამიერკავკასიის კომიტეტი და დამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1439 №-ში 1927 წ. მარტის 31-ს.

დადგენილება № 13/123 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწვერაგების სამმართველო)

1927 წ. მარტის 23.

68. რაფინადი-შაქრის ცალობითი ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. დეკემბრის 29-ს თარიღისა და 57/113 №-რის, დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ცალობითი საგასაცემო ფასები რაფინად-შაქარსა და ფხვნილზე სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობისათვის ყველა ქალაქსა და ადგილას, რომელიც-კი ა/კ. რკ. გზ. ხაზზე მდებარეობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

			ნამტვრევი	ნახერხი	ნაპრობით	თავობით
საქართველოს სსრ-ში	1	კილოგრ.	75 კაპ.	75 კაპ.	73 კაპ.	71 კაპ.
აზერბაიჯანის სსრ-ში	1	„	74 კაპ.	75 კაპ.	72 კაპ.	70 კაპ.
სომხეთის სსრ-ში	1	„	76 კაპ.	77 კაპ.	74 კაპ.	72 კაპ.
ნახიჩევანის ოლქში	1	„	77 კაპ.	78 კაპ.	75 კაპ.	72 კაპ.

შენიშვნა. ქალ. ტფილისსა და ბათუმში შაქარი თავობით გაიცემა 71 კაპ. თითო კილოგრამი.

შაქრის ფხვნილი

ტფილისში	63 კაპ.	1	კილოგრ.
ბათუმში	64 „	1	„
ბაქოში	61 „	1	„
ერევანში	65 „	1	„

2. ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში უნდა დააწესონ სათანადო რესპუბლიკებში შემდგომი მაქსიმალურ-უკიდურესი ცალობითი ფასები რაფინად-შაქარზე და ფხვნილზე ა/კ. რკ. გზის ხაზის გარეშე მდებარე ადგილებისათვის, ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ფასებთან შეფარდებით და იმ ანგარიშის მიხედვით, თუ რა დაჯდება რკინის გზის სადგურიდან გაყიდვის ადგილამდე შაქრის ჰაპანზიდვის გზით მიტანა.

3. ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითოეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა აღიენოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაპრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაპრობის სახალხო კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1439 №-ში 1927 წ. მარტის 31-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო დადგენილება № 16 ამიერკავკასიის საუზუკგათაშორისო მეტრული კომისიისა

1927 წ. თებერვის 18.

69. ა/კსფსრ-ში დაზღვევისათვის მეტრული ზომა-წონის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ის „გ“ პუნქტის შესასრულებლად—ა/კ. საუზუკგათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. ყველა დამზღვევი ორგანო ა/კსფსრ-ში მოვალეა აწარმოოს მის მიერ დასაზღვევად მიღებული რისკის შეფასება და მისი ზარალის სალიკვიდაციო გამოანგარიშება მეტრული ზომა-წონით, ე. ი. ხაზოვანი და კუბური მეტრობით ან კილოგრამობით და მისი წილადობით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს შემდეგი დაწესებითი ვადა მეტრული ზომა-წონის შემოღებისა:

ა. 1927 წ. აპრილის 15-დან:

ა) ქალაქებში შენობებისა და მოძრავი ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევისათვის;

ბ) ქალაქებში სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევისათვის;

გ) ქალაქად და სოფლად საფაბრიკო-საქარხნო ქონების ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევისათვის;

დ) „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ყოველგვარი დაზღვევის პირობებისა და ობიექტების ცვლილებათა გამო ახალი სადასაზღვეო დოკუმენტების შედგენისათვის;

ე) საქონლის დაზღვევისათვის, უკეთუ დაზღვევის ბრუნვის ჩანაწერში უკვე ნახმარია მეტრული ზომა-წონა; ხოლო, უკეთუ იგი ჯერ კიდევ შემოღებული არ არის, გამოანგარიშება შედგენილ უნდა იქნეს ბრუნვის ჩანაწერის ზომა-წონის მიხედვით, რაც დაზღვევის დამთავრების მომენტში იყო;

ვ) პიროვნების (სიცოცხლის) დაზღვევის დროს ექიმების მიერ წარმოებული გაზომვისა და აწონვისათვის;

ზ) სალიკვიდაციო ზარალის აქტებისა და გამოანგარიშების შესადგენად ყოველგვარი ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევისათვის ქალაქად და საფაბრიკო-საქარხნო ქონების დაზღვევისათვის ქალაქად და სოფლად, უკეთუ შეფასების დოკუმენტები შედგენილია მეტრული ზომა-წონით.

ბ. 1927 წ. ივლისის 1-დან:

ა) სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევისათვის ქალაქად;

ბ) სატრანსპორტო დაზღვევისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. 1927 წ. ოქტომბრის 1-დან:

ა) ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევისათვის სოფლად;

ბ) სეტყვისაგან სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევისათვის სოფლად.

2. ყოველგვარ დაზღვევაში მეტრული სისტემის საბოლოოდ შემოღებისათვის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1927 წ. ოქტომბრის 1-ლი.

3. წინადადება ეძლევა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ა/კსფსრ-ში წინასწარ, თავისდროზე დაუგზავნოს თავის ადგილობრივ ორგანოებს ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში სათანადო ცირკულიარი ინსტრუქციითურთ მეტრული ზომა-წონის შეფარდების შესახებ ამა თუ იმ სახის დაზღვევისათვის.

4. დაზღვევის ყველა ორგანო მოვალეა თავის დროზე შეიძინოს ახალი საზომ-საწონი და ხელსაწყო მეტრული ზომა-წონისა.

5. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ეკონომიური თათბირების რწმუნებულთ— იმავე დროს ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელთ ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი და კერძო პირი პასუხს აგებს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი **გუნცაძე.**

მდივანი **ხარატიანი.**

საქართველოს სახელმწიფო ტ ფ ი ლ ი ს ი
ეროვნული
საჯარო ბიბლიოთეკა

ამოღებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1439 №-ში 1927 წ. მარტის 31-ს.

ტფილისი, 1927 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

მთავლიტ № 1252. დაიბეჭდა 800.